№ 110 15 ღვინობისთვე, პარასკევი 1866—1876 15 ღვინობისთვე, პარასკევი № 110

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

რედაქცია

შელიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

გაზეთის ფასი

წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადში—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

სამი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე"

მიიღება თფილისში—გაზეთის რედაქციაში (შელიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში, № 6); გარეშე ქალაქებში—„დროების" აგენტებთან.

ფასი სამის თვის გაზეთისა ე. ი. 1 ოქტომბრიდამ მომავალი წლის 1 იანვრამდინ—2 მან. 50 კაპ. მთელი წლის სრული ნომრები მხოლოთ რამდენიმეა დარჩენილი,—ღირს—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ერთის თვისა—1 მან.

## საქართველო

### ღრიალი სიტყვა კავკასის მემამულეთა ღვინის საზოგადოებაზედ

„თფილისის მოამბეში" წავიკითხე განცხადება კავკასიის ღვინის საზოგადოებისა გამგეობისაგან, რომლითაც იწვევენ ისინი ყველა წევრებს ამ საზოგადოებისას, ამ თვის 17-ს.

მე როგორაც შევიტყე, ყრილობა ამ საზოგადოებისა იქნება მასზედა, რომ დახურონ ვაჭრობა და, რაც ნივთი, ან ღვინო არის იმ ღვინის სარდაფში, გაიყიდოს და გაიყონ წევრებმა.

ეს ამბავი, რასაკვირველია, ჩემთვის დიდი სამწუხარო არის, და არა მარტო ჩემთვის, მთელი მამულების მეპატრონეებისათვის, ამიტომა რომ მიზანი იმ საზოგადოებისა, როგორც აცხადებდა წესდება, ის იყო, რომ „გაევრცელებინა ვაჭრობა საქართველოს ღვინოებისა და ამით მიეცათ სარგებლობა მამულის მეპატრონეთათვის." ეს მიზანი დიდი კეთილი საქმე იყო ყველა მემამულეთათვის.

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, პირველიდგანვე წავიდა ამ საზოგადოების საქმე უკუღმა და ეხლა ხომ კიდევ სულ ბოლოს ელება. ამ საზოგადოების საქმის ცუდათ წასვლა მასში მდგომარეობს: თუმცა დაწესებიდგან იყო დადებული ორნაირი ბუღალტერია და მრავალი სხვა და სხვა წიგნები, მაგრამ აღმასრულებელნი კი არ ასრულებდნენ ისე, როგორაც ჰქონდათ დანიშნულება. იმ წიგნებში მხოლოთ წმინდათ და კარგათ ყოფილიყო ჩაწერილი, თორემ უუ. დირექტორები სხვას არას კითხულობდნენ, სწორეთ არს თუ არა. აი პირველი დახამაული უუ. დირექტორებისა მასში მდგომარეობს, რომ იმათ არ ჰქონდათ იმისთანა წიგნი დაწესებული, რომლითაც ებარებინათ დახლიდრისთვის ღვინო რა ღირსებისა, ან რამთენი ჯამისა და ამავე სიით ერთმევინათ ანგარიში. მხოლოდ როცა სხდომა ჰქონდათ, გაშინჯამდნენ დღიურის ვაჭრობის ჯამს და, რაც იქ ჯამი უჯდება, იმის ანგარიშს გამოართმევდნენ; იმას კი აღარ კითხულობდნენ, რომ დახლიდარს ასე უკონტროლოთ გამოჰქონდა მაღაზიიდგან ღვინო, შეეძლო ესარგებლნა რამთენიც უნდოდა, ან სვინიდისი ნებას მისცემდა. მაგალითათ, იმას შეეძლო გაეყიდნა ათის თუმნისა და ჩაეწერა მარტო ხუთისა.

ვინ იყო პატრონი, ან ვინ მოჰკითხამდა ანგარიშს, როდესაც არც ერთს გამგებელს, არც ერთს დახლიდარს არ ჩაბარებია ამ საზოგადოების ღვინო და ნივთი სიით. აბა იფიქრეთ, ასეთს დაუდევნელობას რომ ნახამდნენ დირექტორების მხრივ აბა ისინი რაღას დასდევდნენ! არამც თუ მარტო დახლიდარი, ან გამგებელი სარგებლობდა, ასე გასინჯეთ ამ უკანასკნელ დროში, როგორც ამბობენ, ყველა მოსამსახურე ბიჭიც კი სარგებლობს, რადგანაც ახლანდელი დახლიდარი ბევრსა სეირნობს და თავის საკუთარ საქმეებს აკეთებს და, თუნდა იქაც ყოფილიყო, ის იჯდა კანტორაში როგორც პრეზიდენტი; ვაჭრობას ყურს არ უგდებდა, იმის ადგილს ხან ერთი და ხან მეორე ბიჭები ვაჭრობენ და რასაც ისინი გაჩვენებენ გაყიდულს, იმასაც სრულათ არ ჩასწერს ხოლმე.

ღვინოს ყიდვაზედ კახეთში ნულარას მკითხამთ: ან რანაირად, ან ვინ, ან რანაირ უთავურად, ან რა ფასეფში, ეგ ღმერთმა იცის. ამისი დამნაშავენი არიან მხოლოთ დირექტორები, რომელთაც, ჩემის აზრით, უნდა მოეკითხოთ. მე იმ სარდაფში ვნახე ორი პარტია ღვინოები ნასყიდი თვით დირექტორებისაგან. პირველი პარტია იყო ნასყიდი სოფელ თოხლიაურს ერთი დირექტორისაგან, რომელსაც იქ აქვს მამული; ურემი უყიდნიათ ოც-და-ორი თუმნიდგან ვიდრე ოც-და-ხუთამდინ და მეორეც ერთს უფროს დირექტორს ს. ანაგას ურემი ოც-და-ექვს თუმნათ. ასე გაშინჯეთ, რომ ჯერ ღვინის სიძვირეში არცერთს ამ სოფლებში არ გაყიდულა თავის დღეში ამ ფასებში და ამ სიაფეში, როგორც ამ წარსულს წელს ღვინოები ფასობდა, ყველამ იცით. ეს ღვინოები ჩამოტანით, რასაკვირველია, დაუჯდებოდათ ბოთლი აბაზი მაინც; მაგრამ მე ნამდვილათ ვიცი, რომ ჯერ რამდენიმე ბოჭკა ღვინო [illegible] ყიდეს და დახარჩეს კიდევ, რომელიც უფრო კარგი იყო, გასაყიდათ აძლევდნენ კომისიით უ. ივანოვს, ბოთლს სამ შაურათ. აღარა სთვლიდნენ არც პროცენტს, არც ლაქს, არც იარლიკს, არც მუშის ფულს, არც გატეხას, არც დალევას და არც კომმისიის ფულს;

## ფელტონი

### რამდენიმე დღე კაპრერაზედ

(ალექსანდრა იაკობი)

წარსული წლის ოქტომბერში მე მომიხდა ყოფნა რომში. აქ გავიცან და დავუმეგობრდი რიჩიოტტი გარიბალდის. როცა რიჩიოტტს დავუწყე ლაპარაკი მის მამაზედ, ისე, როგორღაც ვუთხარი, რომ მე სურვილი მქონდა-მეთქი მენახა გამოჩენილი განდგომილი, რომ მის შეწუხების არა მშინებოდა,—რადგან გამიგონია, რომ გარიბალდი უცნობ პირებს უსიამოვნოთ იღებდა ხოლმე. რიჩიოტტი მარწმუნებდა, რომ ჩემი შიში სრულიად უბრალო იყო, რომ იმის მამა უცნობ პირად არა მრაცხს, რადგანაც იმას კარგად ახსოვს ჩემი მცირედი სამსახური, რომელიც მე მენტანთან რამდენიმე დაჭრილ გარიბალდიელებს გავუწიე. რიჩიოტტიმ მაინც კიდევ განაგრძელა თავისი თხოვნა.

ერთხელ იმან, კაპრერიდამ დაბრუნების შემდეგ, მომიტანა მე გარიბალდისაგან წერილი. იმისთანა მოხუცებულ გმირისგან სასიამოვნოა წერილის მიღება. ამის შემდეგ ყოველი ჩემი შიში და ყოყმობა უადგილო შეიქმნა, და ამის გამო ნამდვილ გარდავწყვიტე იქ წასვლა. რიჩიოტტი დამცინოდა და მარწმუნებდა, რომ ამ ჟამად ჩემის ყოყმობის მიზეზი მდგომარეობს იმაში, ვითომ მე იმაზედ ვშიშობდი, რომ შესანიშნავ განდგომილს მოწყობილი სადგომი არ ექნებოდა.—მაგ შემთხვევაში თქვენ მართალი ბძანდებით, სიცილით მიპასუხებდა რიჩიოტტი:—მაგრამ მაინც ძრიელ ნუ შეშინდებით. მართალია, ჩვენი სახლი არ არის ყოველისფრით შემკობილი; ჩვენა გვაქვს ცოტა მებელი, და ისიც ნახევარი დამტვრეულია; მამა ჩემს მზარეული არა ჰყავს. იქნება კრესლოშიაც მოგიხდეთ თქვენ ძილი; მერე, იცით, რომელ კრესლოში? რომელიც იმას ინგლისელებმა, ასპრომენტის შემდეგ გამოუგზავნეს? მაგრამ ამაზედ ძიელ ნუ შეკრთებით, ის კრესლო სასიამოვნო მოსასვენებელია. მამას სასიამოვნოთ დარჩება თქვენი ნახვა. რაც შეეხება საჭმელს,—კუნძულზედ პირუტყვი და ფრინველი ბევრი გახლავსთ—და ზღვაშიაც კარგი თევზი. თუ ისურვებთ, თითონ თქვენ შეგიძლიანთ იმათი დაჭერა. ბასსოც, (პოლკოვნიკი ბასსო, განუყრელი თანამოგზაური გარიბალდისა, არის დაბადებული ნიცაში, სადაც დაბადებულა ღენერალი) როგორც კარგი მონადირე, დაგიხოცთ ყოველ გვარ ნადირს.

20 ივლისს 1872 წელსა მე, რიჩიოტტი გარიბალდი და გაზეთის „riforma"-ს თანამშრომელი ამადეი წამოვედით რომიდამ ლივორნოში. ჯერ კი გემის კანტორაში წავედით, რომ სახვალიოთ ბილეთები აგვეღო.

— იცით, მითხრა მე ამადეიმ, რომელი გემით უნდა წახვიდეთ თქვენ? იმ გემით, რომელსაც სახელათ ჰქვიან პემონტი. იმ დროს როცა გარიბალდი ნეაპოლის ასაღებათ მიდიოდა, მაშინ იმ ხომალდს თვითონ მართავდა.

— მე ვკითხე როგორი ცეცხლის გემია-მეთქი?"

— ჰო, რა უჭირს,—კარგია მხოლოდ კარგ დღეში! თორემ ერთხელ როცა მე და გარიბალდი იმითი მივდიოდით, ასტყდა საშინელი ქარიშხალი რომლის შედეგი იყო ის, რომ ჩვენ მას ვუწოდეთ სახელად balle-rino (მოთამაშე); მართლაც სწორედ ასე გვეგონებოდათ, რომ ზეირთებზედ თამაშობსო.

ამ მოგონებაზედ ამადეის მოაგონდა ხალხის გმირები და დაიწყო იმათზე ლაპარაკი ისე მშვენივრათ და აღტაცებით, რომ, მე მეგონა, თითქო ტრიბუნიდამ ელაპარაკებოდა ხალხს—და არა შემთხვევით გაცნობილ ქალს. მე, მის ნამდვილ იტალიანურ აღტაცების მხედველმა, ველარ შევიკავე უნებური ღიმილი. ამადეიმ შენიშნა ეს ჩემი ღიმილი და თვითონ მასაც გაეცინა.

— მომიტევეთ, მითხრა მე იმან, მე ისე გამიტაცა ამ ლაპარაკმა, რომ ეხლა კი დროა ბოლოს მოვუღოთ თქვენს მოთმინებას. — თქვენთვის, ვგონებ, ეხლა მოსვენებაა საჭირო, რადგან ხვალ ადრე წამავალი ბრძანდებით.

მეორე დღეს ჩვენ ვისხედით იმ გემში, რომელიც ცის კამარაში ჰკარგავდა კვამლის გუნდებს. ჩვენი ბარგი მატროსებს ჩავაბარეთ და პირდაპირ მაღლა კაპიტანთან ავედით. ამადეი კაპიტანს იცნობდა.

ესენი რომ სულ გამოიანგარიშონ, ზოთლი ორი შაურიც არ დაუჯდებათ და როგორათაც შევიტყვე იმავე კომმისიონერზედ არის დარჩენილი ფული, და ჯერაც არ მიუღიათო.

აბა ამისთანა მოქმედება დირექტორებისა, რომელ საზოგადოებას არ დაღუპავდა და ბოლოს არ მოუღებდა? ეს დაღუპვა სარდაფისა მიეწერება მხოლოთ დირექტორებს და არა სხვა მიზეზებს, რომელთაც (დირექტორებს) ჯერ ერთი არ ესმოდათ თავიანთი დანიშნულება და მეორეც, ეს, რომ არ დაზდევდნენ: წესდების ძალით, ყოველ კვირა იმათ უნდა სხდომა ჰქონოდათ და ყოველთვის შეემოწმებინათ ღვინოების მდგომარეობა; მაგრამ გაივლიდა ბევრი კვირა, რომ ისინი არ შეყრილიყვნენ ერთად.

ამ მდგომარეობაში იყო ეს სარდაფი ამ დირექტორების ხელში, რომლებმაც ახლაკი სულ ბოლო მოუღეს. ასე გაშინჯეთ, რომ შარშანწინდელი ღვინოებიც კი დარჩა ათი ბოჭკა, იმ ღვინის სიძვირეში, როდესაც ესე ღვინობა იყო ქალაქში. მე ნამდვილათ მითხრეს.

რომ იყო მლადიკავკაზიდამ მუშტარი და აძლია ვედრაში 6 მანეთი, მაგრამ ერთმა დირექტორმა უთხრა, რომ პროტოკოლში ვედრა ცხარა მანეთი არის დანიშნულიო, მე მარტო არ შემიძლიან ფასის გამოცვლაო და სხდომას დაენიშნამთ და მაშინ მოვილაპარაკებთო და, თუ შეიძლება, მოქცევთო. ეს სხდომა, ღმერთმა იცის, როდის [illegible] რეთ, რომელი მუშტარი მოუცდის ერთსა და ორ კვირას, ვიდრე ესენი სხდომას დანიშნამდნენ!

აბა ამისთანა დირექტორების ხელში, რა კეთილი საქმე მოხდებოდა? მე, ჩემის მხრით, ვურჩევ ამ საზოგადოების ყრილობას, არამც თუ ვაჭრულის წესით გაყიდონ თავიანთი შესარცხვენათ, იმათ დანიშნონ კომმისია მცოდნე პირებისა, რომელთაც ესმით ამგვარი საქმე კარგათ და მოიწვიონ ის პირნი რომელთაც უმსახურნიათ ამ სარდაფში ჰკითხონ, გაშინჯონ შემოსავლის, გასავლის და ვაჭრობის დავთრები, რომლითაც, იმედი მაქვს, აღმოჩნდება უ. დირექტორების დაუდევნელობა და ბოროტ-მოქმედება, რაც ამ საზოგადოებას ზარალი მისცემია, იმათი მხრივ ყოველივე დაუმტკიცდეთ და გადახდეთ კანონისამებრ იმ პირთ, ვინც მიზეზი იყო ამისი და არა ისე, როგორაც საზოგადოება ფიქრობს, რომ გაყიდონ ვაჭრულის წესით. ვინ იცის, იქნება მანეთში შაურიც არ შეხვდეთ და ამისათვის შერცხვენენ? თვითონ სარდაფი კი რომ ისევ გადასცენ ვისმე კომმისიით იმავე ფირმით, ჩემის მხრივ ვამჯობინებ, ვიდრე დაკეტონ და ან ასე შერცხვენით გაყიდონ.

Z. Z.

---

## დღიური

—

ქულაშიდამ გვწერენ: 18-ს აგვისტოს ს. ქულაშიდამ ოთხი ცხენოსანი ურია მიმავალა ს. საჩინოში თავიანთ სახლში. სამტრედიის პირდაპირ რიონზედ არის პორომი, რომელსაც სატურიის პორომს ეძახიან. გასულან ურიები ამ პორმით თუ არა, ნახევარი საათის შემდეგ მეპორომეს ორი სხვა ცხენოსანი კაცი მისდგომიათო.—„იქით გაგვიყვანეთ და კარგს ქირას მოგცემთ,—ეუბნებიან ეს კაცები მეპორომეს.—მეპორმემ გაიყვანაო. ეს ცხენოსნები აჩქარებით დაეწევიან ურიებს და ერთს იმათგანს ჰკითხავენ: ეს ჩვენი ცხენი ვინ მოგცა, სად მიგყავს?. შეშინებული ურია მიუგებს—კაცო, თქვენს ცხენს მე ვინ მომცემდ!... ღმერთმან იცის, აი მოწმები მყავს, რომ მიყიდნია! ცხენის მოცილეებს ხანჯალზე ხელი გაუსვიათ. სამი ურია გაქცეულან, ამოღებული ხანჯლი რომ დაუნახავთ; ერთი კი ჩაუგდიათ ხელში, წაურთმევიათ ფული, ცხენი და თუ სხვაც რამ ჰქონდა, გადუწერიათ პირჯვარი და ოთხივე მხრისკენ გაუშვიათ.—

*
* *

მომავალს 1877 წელში კავკასიის აქეთა მხრის სამოქალაქო სამმართველოს შემოსავლის ანგარიში აღემატება წლევანდელზედ 166,729 მ. (ას სამოცდა ექვსი ათას შვიდას ოცდა ცხრა მანეთით). მ. ი. გაისისთვის უნდა შემოვიდეს სულ 7,272,982 მ. (შვიდი მილლიონი, ორას სამოცდა თორმეტი ათას ცხრა ას ოთხმოცდა ორი მანეთი)

შემოსავალი:

1) ზარდასახადი — — 1,934,833 მან.
2) სამიკიტნოებიდამ — 1,016,800 —
3) ნავთის — — — 232,788 —
4) თამბაქოს — — — 413,000 —
5) მარილის და შაბის 226,645 —
6) ტამოჟნიდამ — — 1,265,375 —
7) ღერბის — — — 219,500 —
8) სასამართლოების და საკანცელარიო ბაჟი 114,500 —
9) ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის ბაჟი — — 415,000 —
10) სხვ. და სხვ. გვარი ბაჟი 218,250 —
11) [illegible] 900 —
12) მადნეულობიდამ — 10,800 —
13) ფოშტიდამ — — 234,500 —
14) მამულებიდამ, რომელნიც ხაზინაში შევიდენ 735 —
15) სახაზინო კუთვნილებათაგან, თევზის და სხვა აღებ მიცემობისა — — 519,500 —
16) ტყის შემოსავალი 134,820 —
17) სხვა და სხვა გვირი შემოსავალი — — — 76,270 —
18) შემწეობა სხვა და სხვა წყაროებიდამ — 235,202 —
დროებითი შემოსავალი ნავთიდამ — — 264 —
და სხვანი — — — 3,300 —

ჯ ა მ ი — 7.272,982 მ.

*
* *

ჩვენ შევიტყეთ, რომ „მიხაილოვის“ თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკი ქუთაისში, თერთმეტს ოქტომბრს ამ თვეს გაუხსნიათ.

*
* *

ზემო-იმერეთიდამ სხვათა შორის გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი:

2-ს ამ თვეს მე მიამბო ერთმა გლეხმა, რომ ს. წიფლავას (შორპ. უეზ.) ერთმა გლეხმა ფერაძემ კაცი მოკლაო!

აი რა ნაირად ყოფილა ეს შემთხვევა.

ერთს გლეხს წარსულს 30 სეკტემბერს სამღრთო წირვა გადუხდია ჩვეულებისა მებრ ჩვენის ქვეყნის. აქ ყოფილან მღვდლები და რამოდენიმე გარეშე პირებიც. როგორც მოგეხსენებათ წლევანდელი ახალი ღვინოების ამბავი, ერთი-ორი სტაქანი, რომ დალიოს კაცმა, მაშინვე დაარეტიანებს. თურმე ძალიან დაელიათ. ბოლოს მღვდლები შინ წასულან გლეხები ერთმანეთს დარევიან, ბატონო, და ვინ ვის სცემდა გაგება არ იყო. ერთი გლეხი გამოკიდებია დანით ერთ ყმაწვილს და უდევნია თითქმის ას საჟენზე, ბოლოსაც ყოფილა მოწევია, მაგრამ, არ იციან, ამ ყმაწვილმა იხმარა რკინეული, თუ თვითონ დაეცა საწყალი

---

— კაპიტანი პენოვე, მითხრა ამადეიმ და წამოდგა წინ ერთი მაღალი ქალარა შერეული კაცი. ეს არის გარიბალდის მეგობარი.

— თქვენ ღენერალთან მიბძანდებით, მითხრა მე იმან გენუელურ ენაზედ.—Bravo per Dio! მე დიდათ მოხარული ვარ, რომ მე და თქვენ ერთათ მოგვიხდება მგზავრობა. ღენერალი კარგათ არის; წარსულ კვირაში იმის წერილი მივიღე და კლიონკა და აპელსინები გავუგზავნე.

გემში არ იყო ბევრი ხალხი. ორი თუ სამი მილანელი ქალები, შავპირბადით ჩამოფარებული ისხდნენ სკამებზედ და მარაოთი ინიავებდნენ. ძირს, სადაც განგებ იყო გაკეთებული ცხენის სადგომი, ერთი უშნო ბებერი ცხენი იდგა, რომელსაც ყურს უგდებდა წითელ პერანგა გარიბალდიელი სალდათი.

— ეს რა ცხენია, ვკითხე მე კაპიტანს.

— ეს ცხენი, —ამიხსნა მე იმან — ეკუთვნის გარიბალდის ერთ ადიუტანტთაგანს. ეს დასწრებია ბევრ ომებში და ეხლა კი დასასვენებლად მიჰყავთ; ამის პატრონი გენუაში არის და, რადგანაც მის შენახვის შეძლება არა აქვს და არც უნდა გაყიდვა,—ამისათვის მე ვიკისრე წაყვანა, მის ქალთან, რომელიც სარდინიაში სცხოვრობს.

ხომალდის ზევითი ჩარდახი სულ ღარიბი ხალხით აივსო, რომელნიც მიდიოდენ პარკებით და ხილით სავსე კალათებით. კაპიტანმა ჰკითხა, გემი მზათ არის წასასვლელათ, თუ არაო? ამადეიმ დაუყვირა თავის მენავეს, გამომეთხოვა, ისურვა ჩემთვის ბედნიერი მგზავრობა და ჩაეშო თოკის კიბეზედ, რომელიც მსწრაფლად უკანვე ამოიტანეს. მოისმა სტვენა, დატრიალდა ბორბლის თვლები და ჩვენ ერთ წამის განმავალობაში ზღვაში შევცურდით.

კაპიტანმა საუზმეზედ მიმიპატიჟა; მოგზაურებმა, რომელნიც პურის საჭმელ ოთახში შეყრილიყვნენ, დაიწყეს ერთმანეთის გამოკითხვა, თუ ვინ საით მიდიოდა. ზოგი კორსიკაში მიდიოდა, ზოგი პორტო-ტორრე სასსერში და კიდევ სარდინიის სხვა და სხვა ადგილებში, მადელანის კუნძულზედ. კაპრერაზედ კი, როგორც შევიტყე, მარტო მე მივდიოდი. საუზმეზედ ბევრი ვნახე გარიბალდისთან თანა-მეომარნი, რომელნიც იმასთან ყოფილიყვნენ 1848 წლიდამ. უველანი თანაგრძნობით იგონებდნენ გარიბალდის; იმათ მთხოვეს, რომ მე ღენერლისთვის მომეგონებინა მათი კარგად-მყოფობა. ჩვენ იმდენი ღონის-ძიება არა გვაქვს, რომ კაპრერაზედ როგორმე მოვეხვდეთ—მეუბნებოდნენ ისინი, მაგრამ როდესაც ჩვენ შევიტყობთ, რომ ჩვენ იმისთვის საჭირო ვართ და გვეძახის, ჩვენ აღარ დავხედავთ დიდ მანძილს, მაშინვე შევიკრიბებით ჩვენი წინამძღოლის გარშემო და სადაც ის გვიბრძანებს, იქ წავყვებით. ეს ხალხი მომეტებული ნაწილი ინჟინერი და ვაჭრებთაგანი იყვნენ.

მე ვუყურებდი შავ და მიუწდომელ კორსიკის ტყეებს; ამ დროს მომაგონდა ერთი მოთხრობა, რომელიც მე ნეაპოლში გამეგონა ამ სამი წლის წინათ. ამ მოთხრობის გმირად იყო ახალგაზდა კორსიკელი გასათხოვარი ქალი, რომლის საყვარლისთვის მკვლელობა დაებრალებინათ, და გალერში გაეგზავნათ. იმას აბრალებდნენ ერთ ქარხნის გამდიდრებულ პატრონის სიკვდილს, რომელიც თურმე ძიელ ცუდათ ექცეოდა თავის მუშებს. ეს უბედური ამ საქმეში იცნეს დამნაშავეთ და გაგზავნეს კატორღაში, სადაც კიდეც მოკვდა; იმის სიკვდილის შემდეგ ნამდვილი მკვლელიც იპოვეს. გაშმაგებული ქალი, რომლის სატრფო უსამართლოდ გაგზავნეს კატორღაში, გავარდა ყაჩაღათ და რამდენიმე ავაზაკის მოთავეობა მიიღო. იმან მოკლა ორმოცდა-ათი სული და, რაც გაცარცულ ფულებს იღებდა, სულ თავის სოფლის ღარიბებს უგზავნიდა.

ბოლოს, როგორც იყო, დაიჭირეს ეს ქალი და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. როდესაც მივიდა ქალთან მტარვალი ეშაფოტზედ, რომ გილიოტინა გაესწორებინა, ამდროს ქალმა შეჰყვირა: „დაიკარგე, ნუ მომეკარები: თუ კი მე ის შევიძელ, რომ იმდენ ჩემ მსხვერპლის ტანჯვას ვუყურე, ეხლაც შემიძლიან, მშვიდობიანად მოვკვდე.

თარგ. ეკ. ღვინიაშვილისა

(შემდეგი იქნება)

დანაზე, მხოლოდ ეს ნახეს, რომ კაცი მიწაზე გდია ცოცხ ლ-მკვდარი, ნაწლევები გარეთ გამოსცლოდა მუცლიდამ. საწყალი ეს ახალგაზდა ყმაწვილი დატყვევებულია. მკვდარი ექვს ოკტომბრამდის საფლავში იყო ჩასვენებული, ყარაულები ადგენ, მიწას ვერ მიაბარეს ვინემდის ქ. ქუთაისიდამ დოქტორი მოვიდოდა გასაჭრელად.

* * *

საჩხერიდამ გვწერენ:

ამ რთველზე სოფელს სავანეს მცხოვრებმა ერთ აზნაურის მამულზე თედოოსმა ყურძენი მიყიდა ვაჭარს 25 მანეთად. იმ ღამეს მოდგა კარზე ერთი, ვითომ მგზავრი და სთხოვა: „მამაშვილობას, აგერ გზაზე ცხენმა საპანე გადმომიყარა და მიშველე ამაკიდებიეო." ოსი შინ შევიდა ჩოხის ჩასაცმელათ, რადგანაც პერანგის ამარა იყო; მგზავრმა ხვეწნა დაუწყო—ქრისტიანი არ ხარ კაცო, მიშველეო ეგრე წამოდიო. ზაიტყუეს ოსი გარეთ სტაცეს რამდენიმემ ხელი, სხვები სახლში შეცვიდენ და ეს 25 მანეთი ამოაცალეს ყუთიდან. მან ღრიალი გააბა-მიშველეთო, მაგრამ ავაზაკები გადაცვივდენ. ოსმა ყველანი იცნო; ერთი მათგანი მისი ბატონის შვილია, მაგრამ ოსს მოწმები არ ყავს.

## „დროების" კორრესპონდენცია

**სიღნაღი**, 9 ღვინობისთვეს. ვისაც კი ცოტაოდნათ მაინც გული შესტკივა ქიზიყელებისთვის, სულ ამას იძახიან ჭირში და ლხინში, დილით და საღამოთი, სახლში და გარეთ, რომ ჩვენი ქიზიყი ყოველ მხრით დავარდნილიაო, თან-და-თან უკან მიდისო, და ღარიბდებაო.

დიახ მართალია, მაგრამ კიდევ საკვირველია რომ იმისთანა პატიოსანი კაცი, როგორც უ. ჩ., თავის დღეში სოფელში არ ჩავიდოდა, რომ ეკითხა ხალხისთვის—რა მდგომარეობაშია, რა გაჭირება აქვს და ან როგორი მამასახლისი ჰყავსთ.—ის მუდმივ შინ იმყოფებოდა.

რაც შეეხება კიდევ უ. ქ. კაი კაცობას, ამას შემდეგი მაგალითი გვაჩვენებს და გვარწმუნებს — თუ რა ნაყოფს უნდა ველოდნეთ იმისაგან. ამ თვის პირველ რიცხვებში, უფ. ქ. იფშვენიტეს ხელი. საქმე ყოფილა შემდეგში: ამბობენ რომ ქ. ბარათი მისწერა ქ., რომ დროებით ხუთი თუმანი ეთხოვებინა. თურმე ქ. ბარათი ჯიბეში ჩაიდვა, აღარც ფულს უგზავნის და არც ბარათს. ა. ქ. დასდევს ხუთი ექვსი დღე უკან და ეუბნება, კაცო ფული ხომ არ მათხოვე, და ე ჩემი ბარათი მაინც მომეციო. ქ. განრისხებულიყო, რომ მაწუხებო და პატარათი ნიკაპში წაეკრა ხელი. ეს მომხდარიყო კანცელარიაში. ა. ქ. გამოვიდა თურმე გარეთ და მეიდანზე ელოდა, რომ უეჭველათ ბარათი გამოერთმია. თორმეტ საათზე გამოვა უ. ქ. ა. ქ. უკან გამოუდგება და არ ეშვება ბარათი უნდა მომცეო. ქ. კიდევ გაუჯავრდება შეაგინებს, და როგორც ამბობენ, ვითომც ქიმუნჯიც წაუკრავს. ა. ქ. ამაზე მიუბრუნდება, ეტყვის: მაგრე კი არ უნდა, აი ესრე უნდაო, და შემოჰკრავს ერთს თუ ორს, წააქცევს, ზედ წიხლსაც დააყოლებს და გამობრუნდება შინისკენ. უფ. ქ წამოდგება, იტყვის „მამაზაგლა პალტო გამისვარა" და თან იწმენდს მტვერს.

მეორე დღესა ა. ქ. დაიჭირეს და საპყრობილეში ჩასვეს.

ვნახოთ რით გათავდება საქმე, თუმც ძრიელ კარგი კი იქნებოდა რომ ორივეს მოგვაშორებდნენ სიღნაღიდამ. უფ. ქ. ამნაირი შემთხვევა ბევრჯელ გადახდია თურმე, როგორც ამბობენ და იმათში უფრო ერთ შესანიშნავს მოგახსენებთ.

თურმე ამ ორი წლის წინათ ქ. რალაც საქმისთვის, ველის-ციხეს წასულა. იქ, რასაკვირველია, ჩამამხდარა ერთ თავადიშვილის სახლში. ჩაფრები და გზირები კიდე დადიან სოფელში და აქოთქოთებენ სოფელს: ვის სცემენ—ღვინო მოგვეცო, ვის ქათამს ართმევენ, ვის ბატს, ინდაურს და სხვა. ერთი სიტყვით აუწიოკებიათ სოფელი. ბოლოს დროს მისულან ერთ ქვრივის სახლში. ქვრივს აუტყდებიან—ქათამი უნდა მოგვცეო. ქვრივი ეფიცება, არა მყავსო; ჩაფრები არ დაუჯერებენ და ცემას დაუწყებენ, მოგვე ქათამიო. ამ დროს ერთი თავადი, გვარათ ვაჩნაძე (ნამდვილი სახელი არ ვიცი, მეორე სახელი კი აქვს პუდა) ჩამოივლის იმ ქვრივის სახლისკენ და, რომ გაიგონებს ტირილს და კივილს, მიბრუნდება და ჰკითხავს—თუ რა ამბავია. უფ ვაჩნაძეს მენდლებიც აქვს და ამ დედაკაცს ჩინოვნიკი ჰგონია. მიუბრუნდება ლალადებით და ეტყვის თავის სილარიბეს. ვაჩნაძეს, დედაკაცი ძრიელ შეეცოდება, ჩაფრებს იმ ნაშოვნს ქათმებს წაართმევს და იმ დედაკაცს ჩააბარებს. ერთი ორი კი თან წეედლო და ქ. ასულიყო ქ. მიგებებოდა ვაჩნაძეს — „მობრძანდი, მობრძანდი ვაჩინაძე! როგორა ხარ? „ვაჩნაძე განრისხებული ეტყვის:" **какой** მობრძანდი! ეს რა ამბავები არის? „შეჰყვირებს და ტყაპა-ტყუპით თავში, და პირში ცემას დაუწყებს ქათმებით სინამ ისინი ასო ასო არ დაიგლიჯება. — მხვეწება კნიაზო, რატო, რატო? მე შენ მეგობარი! მაგრამ ვაჩნაძე ბოლოს ქათმების ასოებს მიაყრის—აჰა გაძეხიო, ეტყვის გამობრუნდება, გადაჯდება ცხენზე და გასწევს შინისკენ.

ეს ამბები ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მართალი კი არის.

სიღნაღელი

## უცხო ქვეყნები

ახალი ცნობებიდამ ეტყობილობთ, რომ ვითომც რუსეთსა და რუმინიის შუა ეხლა ჟამში მოლაპარაკება მომხდარიყოს იმაზე, რომ—თუ რუმინია ზოგიერთ აღნიშნულ ალაგებს დუნაიზე დაუთმობს რუსეთს, მაშინ ეს უკანასკნელი ჰპირდება მას თათრების დამოკიდებულებიდამ სრულიად განათავისუფლოს, მიუჭრას ნაწილები ბუკოვინის და ტრანსილვანიისა და მასთანვე იცნას რუმინიის მთავარი კოროლად. ამას ამბობს ტელეგრამმა, რომელიც ამ ჟამად ლონდონში მოსრულა. დავუმატოთ ამას ის ცნობებიც, რომ რუმინია აპირებს 40,000 ათასი ჯარის დაყენებას დუნაის ისეთს ალაგებზე, სადაც კი თათრების ციხეები არის.

— საბერძნეთიც ისწრაფის მალე მოიწყოს ჯარები; ყველანი—ვინც კი ოცდა ათის წლის მეტი არ არს—მომზადებულნი არიან ჯარში. ამ საქმის თაობაზე საბერძნეთის პოლკოვნიკი ბიზანციოსი სერბიაში იყო გაგზავნილი მოსალაპარაკებლად, სადაც დაასკვნეს ორივე მხარემ შემდეგი: სერბია ვალდებულია არ შეურიგდეს სათათრეთს საბერძნეთის დაუკითხავათ და საბერძნეთი კი ამ წლის გასულში უსათუოდ გამოილაშქრებს სათათრეთზე. — ამასთანავე ყოველ ღონისძიებას ხმარობენ ბერძნები ააჯანყონ და კვლავ გაავრცელონ მაკედონიაში და თრაკიაში ეს აზრები. ამის გამო მაკედონიის და თრაკიის მცხოვრებლებს შეუკრავთ პირობა ბოლგარიელებთან, დაივიწყონ ორივე მხარემ შინაური რელიგიური განხეთქილება, შეუერთდნენ ერთმანეთს და ებრძოლონ იმ მძვინვარე მტერს, რომელმაც თავის მტარვალობის ქვეშ აწამა ეს ქრისტეს აღმსარებელი ქვეყნები, ოთხასზე მეტის წლის განმავალობაში.

## ნარევი

ერთ საღამოს დ. საჩხერის მომრიგებელი მოსამართლის სეკრეტარი მიდიოდა თავის ოჯახში. თან თავის თანა შემწე, იმავე სოფლის მცხოვრები, მისი ქვისლი მისდევდა. ერთს ტბასთან, რომ მიაწიეს, დახვდათ ერთი მეზობელთაგანი, წაავლო ხელი უ. სეკრეტარს და ძრიელ მიბეგვა. სეკრეტარმა შეიტანა საჩივარი და მოწმეთ წარადგინა თავის ქვისლი. მოპასუხემ იშოვნა ორი მოწამე, რომ ვითომც მათ ქაჯი დახვედროდეს იმ ღამეს იმ ტბასთან და მოსამართლეს უმტკიცებდა, რომ ალბათ ჩვენ მოპირდაპირესაც დაჰხვედრია ჩვენი მგზავსი არა წმინდა სული და გაულახავსო. ოდესაც მამრიგებელმა მოსამართლემ ეს პასუხი და ორი კაცის მოწმობაც მოისმინა წარმოსთქვა— სიდიური ეშმაკიო, რას ამბობთო, ეშმაკს ქვეყანაზე რა უნდაო, მოპასუხემ სთხოვა: რადგანაც მას არ სჯერა, რომ ქვეყანაზე ეშმაკი იყოს, ამისათვის ვითხოვ პროტოკოლი შეადგინოთ და ეგ თქვენი სიტყვები შიგ ჩასწეროთო. მოსამართლემ ეს ვერ გაბედა და დამნაშავე გამართლდა. ამის შემდეგ ორი წელიწადი გავიდაო. ის ტბა დაშრა. ეხლ ხანათ მეორე ტბასთან დახვდენ ერთის მაგიერ, რამოდენიმე პირნი იმ უწინდელ დამნაშავეს და ისე მიბეგვეს, რომ ძლივს გადარჩა. შეიტანა ამანაც სასამართლოში საჩივარი. მოპასუხეებმა მოუგეს: „ის ტბა, სადაც შენი სახით დახვდა ქაჯი უ. ა. წ. (სეკრეტარს) დაშრაო და ქაჯი ამ ტბაში გადმოვიდა, იბარტყა და მოგვეშენდაო. უსათუოთ ჩვენი სახით დაგხვედრიან და იმათ უცემიათო; თუ კი შენი სახით ქაჯისაგან ამა-და-ამ კაცის დახვედრა და ცემა შენ დაამტკიცეო, რატომ არ იქნება, რომ იმავე ქაჯმა, თავის ბარტყებით, ჩვენი სახით დაგვხვდა და გცემაო?" ესენიც ისე გამართლდენ, როგორც ის პირველი მაშინ. „რომლითა საწყაულითა მიუწყო მოგეწყოსთო," — ეს არის სწორეთ.

* * *

სხვა მოსურნეებთ შორის, უ. იაკ. უეფიანიც ემზადებაო სერბიაში წასვლას, ვოლონტერათ. ჩვენ რომ უ. იაკ. უეფიანის მამაცობა გაგვიგონია, სწორეთ სასიამოვნო იქნება ამ ხმის გამართლება.

* * *

თუ რამდენათ დააბრმავებს ხანდიხან კაცს სიმწარე, ამის შემდეგი შემთხვევა გვიმტკიცებს რომელიც ს. ხარაგაულიდამ მოსულ ამბებიდამ ამოგვქვს:

„საღამოს ათი საათია. ერთი გლეხის ლობესთან ჩუმათ ატუზულა ხანში შესრული ქვრივი მღვდელი. გლეხისას ქალების მეტი შინ არა ვინ არის. ოჯახის მამაკაცს სამუშაოში დაგვიანებია და, რადგან შუაღამემდი არ მოელიან, ერთი ქალებთაგანი გამოვა გარეთ და ეზოს მიხედ-მოხედავს, დაათვალიერებს——რომ შინაური პირუტყვი გარეთ არ დარჩენილიყოს. დედა-კაცი, სხვათა შორის, იმ ლობესთანაც მივა, სადაც ზემო მოხსენებული მღვდელია დარაჯათ. მღვდელი შენიშნავს მიმავალ დედაკაცს და გადუგდებს კენჭს.... ქალი შეკრთება, მაგრამ მაინც მამაცათ წაიწევა წინ, რომ უფრო ახლო ნახოს——ხომ ლობესთან ძროხა არ წევსო. ავ დროს მეორე კენჭი გადმოვარდება და ზედ ქალის ფეხთან დავარდება.——„ჯვარი აქაურობას," იტყვის ქალი და პირჯვარს გამოისახავს. „დასწყევლა ღმერთმა, ეშმაკი ან ქაჯი არ იყოს!" და მიიბრუნებს პირს შინისკენ. ამ დროს მღვდელი გადმოხტება ლობიდამ, და მიჰყვება ქალს უკან ნელ-ნელა და ჩუმათ. ქალი კარს გააღებს, შევა შინ და, რომ უნდა მიუგდოს კარი, ზედ კარებში აკი მღვდელს ეჩრება.——„შენდობა მამაო!" შეშინებული ქალი მიაძახებს.——ღმერთმა შეგინდოს, შვილო.—მამაო, ასე გვიან რამ მოგიყვანათ, რა ამბავია?

— აგერ, ვიყავი შვილო,... ნათლობა..: ველარ გაათავებს სიტყვებს, მაგრამ ამდროს შემოცვინდებიან კაცები, თითქოს იქვე დარაჯათ ყოფილ უყვნენ, ეცემიან მღვდელს და თავიდამ ფეხებამდინ ისე შეკოჭავენ, თითქოს ყაჯიდამ გამოსული ქია არისო.——ბევრი იყვირა თურმე, ნათლობა—მქონდაო, შინ წასვლა გვიან დამირჩა და ღამის გასათევათ შემოველიო, მაგრამ ვინ დაუჯერა. დილამდის იდო თურმე იქ და დილას „წაილეს" ისე შეკრული, სადაც ჯერ იყო. გამოძიება არ ვიცი რას გამოაჩენსო, იწერება ჩვენი კორრესპონდენტი და თან დასძენს, რომ ამ ნაირად სამღვდელო პირის გაუპატივრებაო, მე მგონი სამაგალითოდ უნდა მოეკითხოს იმ გლეხებსაო."——სწორეთ, რომ უნდა მოეკითხოს სამაგალითოთ, ჩვენც დავსძენთ ჩვენის მხრით.

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი სამშობიარო ღოშპიტლით

(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაური; ღარიბები მუქთად. ღოშპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველდღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 9½-მდი დოქტორი არტემიევი და 9½-დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ალბანუსი და კაპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე ოჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა.

# განცხადებანი

ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ამით აცხადებს, რომ ისყიდება ტიტულიარნი სოვეტნიკის სტეფანე ივანეს ძის ბეთანოვის ქ. ახალციხეში მყოფი ორი ქვითკირის სახლი, ერთ-ერთ ეტაჟა და მეორეც—ორ ეტაჟა. ეს მამული ტფილისის საადგილ მამულო ბანკშია გირაოთ მიღებული და ისყიდება ამავე ბანკის წესდების § 15 მუხლის ძალით, რადგან უ. ბეთანოვს ამ წლის მეორე ნახევრის ხვედრი გარდასახადი, სრულად არ შემოუტანია. მამულის გაყიდვა მოისპობა მხოლოდ ამ დარჩენილი გარდასახადის შემოტანის შემდეგ.

---

დოქტორი და აკუშერი უ. ბავრონსკი მიიღებს მოსარჩენათ ავათმყოფს ქალებს და ვაჟებს ყოველ დღე გარდა კვირადღისა, დილით დაწყობილი პირველ საათიდგან ვიდრე სამ საათამდინ;—მხოლოდ ღარიბ ხალხს უფასოთ, სამშაბათობით და პარასკეობით იმავე საათებში.

ბინა აქვს ხანის ქუჩაზედ, მანტაშოვის სახლში, მეშვიდე ნომერი, რომელშიაც იდგა უ. ბარანოვსკი.

---

ქუთაისში, ლუბერნიის სტამბაში ისყიდება ბერ. პალანდარაშვილისაგან შედგენილი წიგნი:—რუსული ენის დასაწყისი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის. გამოცემა მეხუთე, ხელ-ახლად გასწორებული და შემოკლებული. ფასი სამი აბაზი.

---

დაიბეჭდა და ისყიდება

თამარ საქართველოს ბატონიშვილი

ისტორიული რომანი

გ. რჩეულოვისა:

ტფილისში: მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

---

## ტფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ზარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფი. ქიუჩარიანცი—ყურისა და ხირურგიულ ავათმყოობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობისა.

---

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკრება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი

—

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—70

# წალკოტი

თქმული

დავით გივიშვილისაგან

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

---



ათასი პირი, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ სამზღვარ გარეთ ვაჭრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ მცენარეობითს ქინო-გლიცერინის პომადისა, რომელსაც თმა ამოჰყავს. ეს პომადა უცდია ბევრს გამოჩენილ ექიმობისმცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს



ქიმიის პროფესორისა ლანდგერიხტთან დანიშნულისა, ვენაში, უ. კლეჩინსკისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველს და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლეპილი თავიც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თავის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქეშს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

ყველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ფასი ბანკისა 2 მანეთი

ყოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

---

პ ო მ ა დ ა

„PASTA EUGENIE“

ამ პომადის გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Evgenie ისყიდება ტფილისში ლანკოს მუზიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ვლადიკავკაზში—სეგალთან და სტავროპოლში კურილჩენკოსთან, სადაც ისყიდება სხვა აქ მოყვანილი ნივთებიცა.



ეს პომადა „Pasta“ იმითია შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმარების შემდეგ, ლაქები, ჭორფლი, ქერქეში და სიცხისაგან სახეზე მოდებულ სიშავე სრულიად იაკარგება და მსწრაფლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამინის სიცხოველე ეძლევა. ყველაზე უფრო ეს პამადა იმათთვინ არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი, არის ვენის ქიმიის პროფესორი კლეჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავარობის მოწმობა.

ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.



ყოველ პამადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დალი, ამურის სურათით და გამამგონის ხელის მოწერა. ყიდვის დროს ამას ყურადღება მიაქციეთ.

P. S. პამადა „Pasta“ გამოსადეგია აგრეთვე იმათთვის, ვისაც ხორცის კანის ავათმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელებზე და ყელზე. BERTHAE RIES.



ხ ე ლ ი ს პ ა მ ა დ ა

ეს პამადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრმა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.

თმის საღებავი—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

ტოკაის ბალზამი—საშუალება მაზოლისათვის. ფასი 60 კაპ. 54—35

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| აკ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ორშაბ. ნასად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) ტ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ. და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს—სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 6 ოქტ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $322^1/_2$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 97 | 40 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 179 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 174 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ტფილ. საზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 83 | 50 |
| მოსკოვის (5%). . . . | 88 | 25 |
| ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 165 | — |
| ფოთი-ტფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 515 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 202 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 724 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 241 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 269 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი, 14 ოქტომ. | | |
| პური შორაგალის ფთ. | 1 | — |
| ქერი ფუთი. . . : | — | 65 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი. : | 5 | 60 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | — |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . : | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 30 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 50 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 6 | 25 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 5 | 90 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 18 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | 20 |
| ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. . | 6 | 40 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Октября 1876 г. Типографія Меликова и Ко. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.